

წელიწადი მისამე

წელიწადი მისამე



სამეურნეო ჟურნალი

# გოგსაჰალი



ივნი 1.

№ 11.

### შინაარსი:

|                             |  |    |
|-----------------------------|--|----|
| ვ. გულბათიშვილი . . . . .   | შეგნებული მუშაობა . . . . .                  | 3  |
| ე. იოსელიანი . . . . .      | მამულის დავალიანება ხეუნში . . . . .         | 6  |
| ვ. მჭედლიშვილი . . . . .    | გოგირდის სმარება მეღვინეობაში . . . . .      | 10 |
| ხ. კახელიძე . . . . .       | გლეხ-კომუნერატორის სასჯელმძვანელოდ . . . . . | 12 |
| <b>საყურადღებო ცნობები:</b> |  |    |
| დ. მდივანი . . . . .        | ინდოურის ჭუკების მოვლა . . . . .             | 16 |
|                             | ინდოურის გასუქება . . . . .                  | 16 |
|                             | განცხადება . . . . .                         | 16 |

# სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი შარებისა: — ახოშვილი ვ., ანაზღეული, ახალაია ი., ბერეკაშვილი კ., გულბათიშვილი ვ., გვარამაძე ვ., გორთაშვილი ვ., ელილაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კახელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარალელი ვ., მაჩაბელი ა., მღვიანი დ., შჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ., ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე ს. გ., რცხილაძე ს. გ., ფურცელაძე ი., ფალაგანდიშვილი დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე ვ., ქარცივაძე მ., ყიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხადაძე გრ., ხუნდაძე ს., შავლიყვი პ., ჟანაშვილი მ., ჯიქია ლ., კახელი მევქენაძე, ზემიონოვი ექიმი.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

## თანამშრომელთა საშუალებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექსორდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შეუამბლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნაგასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

## ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлиς, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ი. რცხილაძე**



# შეგნებული მუშაობა

ყოველ აღებულს დედამიწიდან მოსავალს თან ასდევს ნიადაგის რაოდენიმე სინოციფრეც.

გამოცდილმა მეურნემ იცის, რომ ახლად გატეხილი ახო ან ახალი სასუქ-მოყრილი მიწა უდიდეს მოსავალს მარტო პირველ წელიწადს იძლევა, შემდეგ მოსავალი თანდათან კლებულობს ყოველწლივ და, თუ პატრონმა არაფერი იღონა, სინოციფრე არ შეუნახა თავის მამულს, იგი სრულიად გამოიფიტება და მოსავალს აღარ მოიყვანს.

აქედან ცხადად სჩანს, რომ პირველი საზრუნველი მეურნესათვის ნიადაგის სინოციფრის შენახვა ყოფილა მიწის გონივრული დამუშავებით.

ხოლო ვიდრემდისინ შეუდგებით იმის განხილვას, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს გონივრული დამუშავება, ჯერ უნდა ვიცოდეთ: რა მიზეზით იფიტება მიწა და რაში მდგომარეობას მიწის სინოციფრის შენახვა? მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება შესაფერი ზომების გაგება-გამოკვლევაც.

მცენარეს როგორც ყოველ სხვა ცოცხალ არსებას ესაჭიროება საკვებავი. ზოგს ამ საკვებავს მცენარე თავისი ფესვებით ნიადაგიდან იღებს. ხოლო უნდა გვახსოვდეს, რომ მცენარის ფესვებს ნიადაგიდან საზრდოს მიღება მარტო იმ შემთხვევაში შეუძლიანთ, თუ ეს სასაზრდო ნივთიერებანი დნებიან ან იხსნებიან წყალში ისე ადვილად, როგორც, მაგალითად, შაქარი დნება ან საკმელი მარილი იხსნება წყალში. რამდენიც ბლომად იქნებიან ნიადაგში ეს სასაზრდო ნივთიერებანი, იმდენი

ნიადაგი უფრო ნოყიერია. მცენარეს რომ მუდამ უხვად ჰქონდეს ეს საკვებავი, მაშინ აღარც ნიადაგის გამოფიტვას ექნებოდა ადგილი.

მაშ სჩანს, მაშასადამე, რომ ზემოხსენებული სინოციფრენი ნიადაგში არა ყოფილან ბლომად. ორი-სამი მოსავალი რომ ავიღოთ ერთდღივ მიწიდან ზედიზედ, აშკარად ვატყობთ ხოლმე რომ ნიადაგს ძალა აკლდება, იფიტება.

მაშ ჩვენი შეგნებული ზრუნვა უპირველესად ყოვლისა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ შევეუსოთ ნიადაგს ადვილად დასადნობი სასაზრდო ნივთიერებანი, რომელნიც დააკლდნენ მას და გაჰყვნენ თან ჩაკლებულ მოსავალს.

მხოლოდ კითხვა ჯერ აი რაშია: თუ კი ეს ნივთიერებანი არ არიან ნიადაგში, მაშ საიდან უნდა შევაყსოთ მათი დანახარჯი?

თუ სრულებით არ არიან, ჰო. მაგრამ საქმეც ეს არის, რომ შეიძლება ნიადაგში ეს საჭირო ნივთიერებანი ბლომდაც იყვნენ, ხოლო არა დნებოდნენ და ამიტომ არ ხმარდებოდნენ მცენარეს.

ესეთ შემთხვევაში მიწა ნოყიერი იქნება, მაგრამ მოსავალს დედინაცვლობას გაუწევს, არას არგებს.

მაშ სჩანს, პირველი ჩვენი ზრუნვა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ეს საჭირო საკვებავი ნივთიერებანი ადვილ დასადნობ ნივთიერებათ გავხადოთ ნიადაგში, რათა მცენარის ფესვებს შეეძლოთ მათი შესუტვა-შეთვისება.



რა არის საჭირო ამისათვის?

ამისათვის საჭიროა ნიადაგს ჰქონდეს საკმარისად (და არა მომეტებულად) სინესტე და ჩაატანდეს შიგ ჰაერი და მზის სითბო. თუ ყველა ეს ექნება ნიადაგს, ნოყიერი ნივთიერებანიც აღვილად დადნებიან შიგ და მოხმარდებიან მცენარეს.

როგორც სინესტის ჩაგროება ნიადაგში, ისე ჰაერისა და მზის სითბოს ჩასვლა მასში, ნიადაგის მოხვნა-დაბარვაზეა დამოკიდებული. რაც უფრო ღრმად იქნება მიწა გადმობრუნებული და რამდენიც ხშირად გაუფხვიერდება ნახნავს ზედაპირი, იმდენი სინესტეც ბლომად ჩაგროვდება ნიადაგში და მზის სითბოცა და ჰაერიც აღვილად ჩაატანენ შიგ.

შეგნებულმა მეურნემ უნდა იცოდეს, რომ მეტჯერ გათოხნით გამოწვეულ ხარჯს მადრიელი მამული ყოველთვის ერთიორად აუნაზღაურებს მას მეტის მოსავლის მიცემით.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრედვე დროს, როდის იხენება ან იბარება მიწა.

შემოდგომაზე მოხნული მიწა უფრო კარგა იქნება წყლით, მაგრა იყინება ზამთრის სიცივით და ამისა გამო უფრო ფხვიერდება.

რამდენიც მეტად გაუმაგრდება ზაფხულში ნიადაგს ზედაპირი, იმდენი იგი მეტად ამოიგოვდება. ამიტომ შეგნებული დამუშავება ნიადაგისა მოითხოვს, რომ ზედაპირი ნიადაგს ხშირად გაუფხვიერდეს ხოლმე თოხით იქნება თუ საჩიხით.

რასაკვირველია, პატრონისაგან მივიწყებულს, დაუბარავ-დაუთოხნავ მიწასაც დასდის ზემოდან წვიმა, დაჰყუ-

რებს ჰაერი, სითბო მზისა, ამგვარ წინადაგშიაც გარდაკეთდებიან ძნელად დასადნობი მცენარისათვის საჭირო ნივთიერებანი აღვილ-დასადნობად, მაგრამ ყველა ეს ხდება მძიმედ; 5—10 წელიწადი მაინც უნდა გავიდეს ასე, რომ მიწამ საკმაოდ დაისვენოს, ყოველი დანახარჯი დაიბრუნოს.

წინად, როცა სახნავი მიწები ბლომად იყო, ძალა-გამოლულ მიწას სტოვებდნენ ნაჩხატად 5—6 წლით, სანამ ძალ-ლონეს მოიკრეფდა, და მერე ხნავდნენ ისევ და კარგ მოსავალს იღებდნენ.

სხვაა დღეს, როცა იმდენი თავისუფალი მიწები აღარ არის. დასასვენებლად ეხლა ნაჩხატად კი აღარ სტოვებენ მიწას, არამედ ხნავენ მას, მოხნულს წელიწადში რამდენჯერმე უფხვიერებენ ზედაპირს, უვლიან-ულოლიავენ და მიწაც მალე ისვენებს. რასაც წინად ნაჩხატად დაგდებული მიწა 10 წლის განმავლობაში შეიმატებდა ხოლმე, ეხლა იგი სამ წელიწადში ერთხელ დასვენებით იბრუნებს უკან დანაკლის, ოლონდ დასასვენებლად გაშვებული მიწა თავის დროზედ იყოს მოხნული და ნახნავს ზედაპირი გაუფხვიერდეს ხოლმე.

ჩვენი გლახობაც ასვენებს მიწას, ესე იგი სთესენ ჯერ ფეტვს ან სიმინდს, მერე ამ ნაფეტვარში ან ნასიმინდარში სთესავენ პურს ან ქერს და შემდეგ სტოვებენ მიწას ერთის წლით დასასვენებლად, მაგრამ სამწუხაროდ ამ განთავისუფლებულ მიწას მაშინვე როდი ხნავენ, რომ მიწა გაჟივდეს — გაფუვდეს და გაფხვიერდეს. უშვებენ მას საქონლის გასადგვარად და გადაბრუნებას შეუდგებიან ხოლმე დათვის ერთი-ორი თვით წინ.



ვინც გულდასმით წაიკითხა ზემოთ მოყვანილი, ადვილად მიხვდება: რამდენი აკლდება ნიადაგს, როცა იგი შემოდგომის წვიმებში, ზამთრის თოვლისა და ყინვა-სიცივეში მოუხნავია დარჩენილი და იმის მაგიერ რომ მთელი წლის ნამი შიგ გასჯდომოდა, ზევზევით გადასდის და იკარგება ხრამებში.

დასასვენებლად დატოვებული მიწების ესეთი მოვლა, ცხადია, შეიძლება იქ, სადაც საქონლის საძოვრად სხვა ადგილები აქვს სოფელს საკმაოდ.

მშვენიერ საშუალებად, რომ მიწას სინოცივრე არ გამოელოოს, ითვლება შიწის გაპატივება საქონლის ნებვით ან მინერალური სასუქებით. სასუქით ნიადაგს ეძლევა ისეთი ნივთიერებანი, რომელნიც ზოგჯერ არ არიან იქ საკმარისად და მოხვნითა და გაფხვიერებით ვერ მიემატებოდნენ. გარდა ამისა ნებვის სასუქს კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს: ნებვი რომ ღებება ნიადაგში, ეს უკანასკნელი ფხვიერდება, რის გამო უფრო ადვილად ჩადის ნიადაგში ჰაერიც, ნესტიც და სითბოც. ამტომ ნებვით გაპატივება ნიადაგისა ყოველთვის სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს, თუნდ ნიადაგი მოუხნავ-დაუბარავიც იყოს.

ერთი უტყუარი საშუალებათაგანი მიწის დამუშავებაში არის აგრედვე **მორიგებითი თესვა** სხვადასხვა მცენარეებისა.

აზრი ამ საშუალებისა შემდეგია:

ყველა მცენარე თავის სასაზრდოებლად ნიადაგიდან ერთდაიგივე ნივთიერებებს როდი ითვისებს.

ჰვავს, პურს, მაგალითად, ერთი რიგი ნივთიერებანი უნდათ მეტად; ქარხალს, კართოფილს—მეორე.

ისეთი მცენარენი როგორც მაგალითად სამყურა ბალახი, ცერცვი და სხვა, არამც თუ ნიადაგიდან არა ხარჯვენ იმ ნივთიერებებს, რომელნიც შეადგენენ პუროვან მცენარეების საზრდოს, არამედ ჰმატებენ მათ ნიადაგს.

აქედან აშკარად სჩანს რომ თუ ერთდაიგივე მიწაზე დაითესა ჯერ პური ან ქერი; მერე ქარხალი ან კართოფილი, რომელთაც სხვა სინოცივრენი ესაჭიროებათ; შემდეგ შვრია; შვრიის შემდეგ სამყურა ბალახი; მერე ისევ პური ან ქერი და ასე გაყოლება, მაშინ ყოველი ნათესი წინა ნათესისაგან სინოცივრით გამდიდრებულ მიწაზე იქნება დათესილი და არა გამოფიტულ ნიადაგზე.

მაშასადამე იმ მიწაზედ, რომელზედაც ბევრი სხვადასხვა ხორბლეული მცენარეები ითესება მორიგობით და არა მარტო ორი-საბი, როგორც დღეს ჩვენში—პური-სიმინდი ან ქერი-სიმინდი-ფეტვი,—სინოცივრე ნიადაგს გაცილებით მეტი ექნება, ვიდრე მაშინ, როცა მარტო პურსა ვთესავთ, პურის შემდეგ ქერს, მერე ისევ პურს ან ჰვავს, რადგან ყველა ეს მცენარენი ნიადაგიდან თითქმის ერთდამავე ზომით ერთდაიგივე ნივთიერებებს თხოულობენ თავიანთ სასაზრდოებლად.

შეგნებული მეურნე ხედავს დღეს არამცთუ ერთისა და ორის, არამედ რამდენიმე მცენარის მორიგად თესვის საჭიროებას და ცდილობს შეიმუშაოს თავის მამულისათვის ეს **მისადევარი წეს-რიგი**.

მეურნეობის შეგნებაც დღეს სწორედ ამ მისადევარ წეს-რიგის გამოკვლევაში იხატება.

ვ. გულბათიშვილი.



# მამულის დავალობა ჩვენში

## I

ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულომ ბ. გოგიჩაიშვილის რედაქტორობით გამოსცა ფრიად შესანიშნავი და სასარგებლო სტატისტიკური ცნობები. ეს პირველი გამოცემაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. შეიძლება ზოგი მოყვანილ ცნობათაგანი ამ გამოცემაში სინამდვილეს იყოს დაშორებული და შესწორებას თხოულობდეს, შეიძლება აგრედვე ზოგიერთი მოსაზრებანი ავტორისა შეუსწორებლივ არ იყოს მიღებული მკითხველისაგან, მაგრამ მაინც მიუხედავად ამისა კრებულის გამომცემელიც და რედაქტორიც დიდი მადლობის ღირსნი არიან.

დღესაც ძნელად შეხვდებით ისეთ ქართველ განათლებულ ადამიანს, რომ სწორე წარმოდგენა ჰქონდეს თავისი სამშობლოს აწინდელი ეკონომიური მდგომარეობისა. ჩვენ მიერ ჩვენი სამშობლოს სიყვარული და ჩვენი სამშობლოს უფიცობა საზოგადო ფაქტია და მიზეზი ამისი უპირველესად ყოვლისა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების რიგიანი გამოკვლევის უქონლობაა. რომ პატარა წინად შევდგომოდით ჩვენს ეკონომიურ ცხოვრების შესწავლას, იქნება დღეს ჩვენი მიწათმფლობელობა ისე არ ყოფილიყოს არეული, როგორც ესლა.

მართალია, კარგა ხანია რაც ჩვენშიაც არსებობენ ეგრედწოდებული სტატისტიკური კომიტეტები, მაგრამ ვინ არ იცის რომ მათგან შეკრებილი

ცნობები ხშირად ძალიან შორს არიან სინამდვილესთან და კაცი ვერ ისარგებლებს მათით. გარდა ამისა სრული და ნამდვილნიც რომ იყვნენ ეს ცნობები, მაინც მათ ყველა ექვის თვალთ უყურებს, საზოგადო ნდობას არიან მოკლებულნი. ამ მხრივ ახალი კრებული უკეთეს პირობებში იქნება, ყველა სრულის ნდობით მოეპყრობა მას.

როგორც სჩანს ამ სანდო ცნობებიდან, მიწა, ეს უმთავრესი ძალა ერის არსებობისა, მთელ ტფილისის გუბერნიაში სულ 3681510 დესეტინა ითვლება. აქედან მეურნეობისათვის გამოუსადეგარი ხრიოკი ადგილები შეადგენენ 622510 დესეტინას და რჩება დასამუშავებლად ვარგისი 3059000 დეს., ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას უჭირავს საკუთრებათ 992216 დეს., სხვა წოდებები უფლობენ — 293531 დესეტინას.

ამ სხვა წოდებებს შეადგენენ: 1) მესაკუთრე გლეხები, 2) ხიზანი, 3) სახელმწიფო გლეხი დასახლებული თავ.-აზნ. მიწებზე, 4) დროებით ვალდებული გლეხი და 5) გლეხი, რომელსაც შესყიდული აქვს „ნადელი“.

სხვა სტატისტიკური ცნობებითაც, რომელიც ჩვენა გვაქვს ხელთ, მიწის რაოდენობა ტფილისის გუბერნიაში თითქმის ამდენივეა. სახელდობრ:

- 1. მესაკუთრე გლეხებს უჭირავთ . . . . . 99921 დეს.
- 2. ხიზნებს . . . . . 27654 „
- 3. სახელმწიფო გლეხებს კერძო მამულებზე დასახლებულებს . . . . . 113864 „



|                                   |           |
|-----------------------------------|-----------|
| 4. დროებით ვალდებულ გლეხებს ..... | 38848 ,,  |
| 5. შესყიდული ნაღებები .....       | 16416 ,,  |
| სულ .....                         | 296703 ,, |

განსხვავება ამ ჯამისა და ბ. გოგიჩაიშვილისაგან ნაანგარიშევი მიწების რაოდენობისა უდრის 3172 დესეტინას ანუ დაახლოვებით 1<sup>0</sup>/<sub>10</sub>.

ესოდენ მცირედი განსხვავება, თუ მეტადრე გავიხსენებთ როგორ გროვდება ჩვენში სტატისტიკური ცნობები, უფრო იმას გვიმტკიცებს, რომ მიწების რაოდენობა სწორედ ყოფილა ნაანგარიშევი. მაგრამ მარტო რაოდენობაში არ არის საქმე. საქმე იმაშია რომ სხვა (თავად.-აზნაურთ. გარეშე) წოდებათა მიწები, რომელნიც სულ 296703 დესეტ. შეადგენენ, ყველა ერთდაიგივე უფლებებისა და ვალდებულობის ნორმებში არ იმყოფებიან. ამიტომ ერთ კატეგორიაში მოქცევა მათი შეუძლებელია, რადგან განსხვავება იგი მარტო გარეგნულ ელფერს კი არ უცვლის ამ მიწებს, არამედ თვით ნაყოფიერებაზედაც გავლენობს და საკმაო საფუძვლად ხდება ამ მიწების ზედმეტ კატეგორიებად დაყოფისა.

ერთნაირ ქონებათ არ ჩაითვლება კერძო ან სახელმწიფო მიწა სახელმწიფო გლეხით დასახლებული, საიდანაც ეს უკანასკნელი ყოველთვის შეუძლიანთ გადაასახლონ, და საკუთრებად შექმნილი მამული, საიდანაც გლეხმესაკუთრეს ძალად ვერავინაც ვერ აპყრის. მფლობელობა სხვაა, სარგებლობა სხვა. რომ ერთდაიგივე ყოფილიყოს, მაშინ ტფილისის გუბერნიაში კერძო მფლობელობა 857518 დესეტინით მეტი იქნებოდა, რომელიც ესლა

სახელმწიფო მიწებით ითვლებიან, რაც დიდად განსხვავდება გამოსყიდული ნაღებებისაგან.

თუ ამ განსხვავებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ კერძო მფლობელობაში იქნება მხოლოდ 116338 დეს. და არა 293531 დეს., როგორც ბ. გოგიჩაიშვილი ანგარიშობს. აქედან მესაკუთრე გლეხების მიწები შეადგენენ 99921 დესეტინას, გამოსყიდული ნაღებები კი 16416 დეს., დანარჩენი 190355 დეს. თუმცა არა თავად-აზნაურთ უქირავთ, მაგრამ მაინც ამ მიწებით ეს არა თავად-აზნაურნი მხოლოდ სარგებლობენ და არა უფლობენ.

დარწმუნებული ვართ, ბ. გოგიჩაიშვილსაც კარგად ესმის ეს განსხვავება, და თუ მას ზოგიერთი მხარე ჩვენი მიწათმფლობელობისა გამოურკვეველი დაუტოვებია ეს ალბად იმიტომ რომ გარემოებას ხელი არ შეუწყვიტა ამ შემთხვევაში მისთვის.

ჩვენც აღარ გამოვეკიდებით სხვა მაგალითებს, რადგან ეს ერთიც საკმარისია იმის სათქმელად, რომ ყველა მოყვანილი კრებულში რიცხვები უცოდველნი არ არიან და ვინც გულმოდგინედ გადაათვალიერებს მთელ გამოცემას, აქ-იქ მათი შესწორება დასჯირდება.

ჩვენ კი დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს უმთავრეს საგანს, გამოვიკვლიოთ ამ კრებულში მოყვანილი ცნობების საშუალებით: რამდენად არის ჩვენი მამულები დავალიანებული და შეიძლება თუ არა რომ აწ არსებული სამეურნეო კულტურა გაუძღვეს ამ დავალიანებას.

II

თავად-აზნაურთა მიწებიდან, რომელნიც როგორც ზემოთ იყო ნათქვამი,



992216 დესეტინას შეადგენენ, დაგირავებულია სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკებში 350275 დესეტინა, კერძო პირებს უჭირავთ გირაოთ ვალ-ში 302823 დესეტინა, რჩება უვალო მთელს გუბერნიაში სულ 339218 დესეტინა.

ბანკების ვალი ითვლება დაგირავებულ მიწებზე 7713085 მან. 46 კაპ.

კერძო პირებისა . . . . . 3,564,311 მან.

მაშ სულ დაგირავებული ყოფილა 652898 დესეტინა მიწა, რომელზედაც დებულა 11277396 მან. 46 კაპ. ვალი.

დაგირავებულ მიწებიდან მეტი წილი არის:

- 1. ტყე . . . . . 273776 დეს.
- 2. სახნავი მიწა . . . . . 258471 დეს.

არც შემოხსენებული 296703 დესეტინა მიწა, რომელიც გლახობას უჭირავს, არის ვალისაგან თავისუფალი. ამ მიწებიდან 68224 დესეტინა დაგირავებული აქვთ კერძო პირებს და ადევს ზედამ მიწებს 2469113 მან. ვალი.

აი როგორ გვიხატავს გლახის დავალიანებას თვით ოფიციალური გამოკვლევა:

„თუმცა საზოგადოდ გლახის შევიწროება—სწერია ერთ ოფიციალურ გამოკვლევაში—საკომლო გარდასახადების გაუქმებით ბევრით შემსუბუქდა, მაგრამ გლახის მდგომარეობა მაინც ისევ აუტანელი რჩება, რადგან გლახმა მაინც 78<sup>0</sup>/ო თავის შემოსავლისა უნდა აძლიოს დარჩენილ გარდასახადებში. თუ მივიღებთ მხედველობაში ყველა იმ ზარალს, რომელიც ეძლევა გლახს უამინდობით, სეტყვით, ფილოქსერით და სხვა დამა-

ზიანებელი მოვლენებით და აგრეთვე იმ სანადელო გარდასახადს რომელიც უდრის საშუალოდ 11,6<sup>0</sup>/ო მთელი მისი შემოსავლისას, აშკარად დაგინახავთ თუ რა მძიმე ტვირთს ზიდავს გლახი, მეტადრე მაგალითად თელავის მაზრაში, სადაც გლახის ყველა გარდასახადები ერთად რომ შევაერთოთ, მისი წმინდა შემოსავლის 40<sup>0</sup>/ო — 120<sup>0</sup>/ო შეადგენენ“.

თავი რო მოუყაროთ ერთად ყველა ბანკის ვალებსა და კერძო ვალებს დაგირავებულს მიწებზე, ვნახავთ რომ თითქმის მთელი მეოთხედი ტფილისის გუბერნიისა დაგირავებული ყოფილა: დაგირავებულია 721122 დესეტინა და ვალი უდრის 13746509 მანეთს. ამგვარად ამ ვალის თავნისა და სარგებლის გარდასაწყვეტად რომ 7<sup>0</sup>/ო ვიანგარიშოთ, უნდა ყოველ წლივ მამულის პატრონებმა ფულის პატრონებს აძლიონ 962255 მანეთი. არც ეს ვალი და არც მისი გარდასაწყვეტა კიდევ არ იქნებოდა სამძიმო, რომ მიწადმფლობელობა ესე მოუწესრიგებელი არ ყოფილიყოს ჩვენში დღესაც და ამ გარე მოებით არ ბრკოლდებოდეს ზედმეტი მოვლა და გამოსავლიანობა მამულისა.

ან კი როგორ უნდა გამოიხსნას უამისოდ მემამულემ თავი ვალიდან, როდესაც ყველა კერძო მამულების მთელი შემოსავალი გუბერნიაში უდრის 3101576 მანეთს, საიდანაც თავად-აზნაურთ ხვდებათ მხოლოდ 1943441 მან. 07 კაპ. და დანარჩენი 1158134 მან. 93 კაპ სხვა წოდებებს ეკუთვნით.

მძიმეა საზოგადოდ მდგომარეობა გლახისა, რომლის მთელი შემოსავლიდან, როგორც ვემოთა ვსთქვით, 78<sup>0</sup>/ო სხვადასხვა ხარჯებს მიაქვთ და, უკეთუ





მან ნადელის გამოსყიდვაც განიზრახა, გარდასახადი იგი ზოგჯერ 120 პროცენტამდენაც აღის.

ნამეტნავად იჩაგრება გლეხი ბევართ, რომელიც

- გორის მაზრაში კომლზე 1 მ. უდრის.
- ახალქალაქის მაზ. „ 3 „ „
- ბორჩალოს მაზრ. „ 4 „ „
- თიან.-დუშეთისაში „ 10-15 „ „

მაგრამ არც არას სანუგეშოს თავად-აზნაურთა მეურნეობაში ვხედავთ.

1943441 მანეთიდან, რომელიც თავად-აზნაურობას შემოსდის მამულებიდან მთელს გუბერნიაში, იგი ყოველწლივ იხდის ვალის სარგებლისა და თავნის გადასაწყვეტად 789500 მანეთს, გარდა ამისა აძლევს ყველა სახელმწიფო და საერობო გარდასახადებს და რჩება მას წმინდა შემოსავლად 992216 დესეტინიდან ერთ მილიონამდე მანეთი, ანუ თითო დესეტინაზე თითო მანეთი დაახლოებით.

რომ მარტო ამ წმინდა შემოსავალზე იყოს დამოკიდებული მემამულეც და იმისი მეურნეობაც, მაშინ, ცხადია, იგი ვერც მამულს შეირჩენდა და ვერც ოჯახს შეინახავდა, მაგრამ საბედნიეროდ მეურნეობას ერთი კეთილი მხარეც აქვს, რომლითაც იგი თავის მოჭირნახულეს ცოტად თუ ბევრად ტვირთს უმსუბუქებს.

ეს კარგი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მეურნეობაში მოჭირნახულე ჯერ თავის დანახარჯსა და შრომის ფასს იღებს უკან და შემდეგ, თუ რამე დარჩა, წმინდა შემოსავლად ითვლება. ამისა გამო საცა მემამულე თითონ არის ჩამდგარი მამულში და მუშაობს იქ ის ავად თუ კარგად თავს გამოიკვებავს და მამულსაც შეინარჩუნებს. ამ შემთხვე-

ვაში მეურნის კეთილდღეობა კიდევ უფრო ცოდნაზე და გამრჯელობაზეა დამოკიდებული. გულმოდგინე მოჭირნახულეს მამული თავის დღეში ულუკმოთ არ დასტოვებს.

ხსენებულ დავალიანებას კიდევ გაუძლებდა ჩვენი მამული, რომ მოხნული დესეტინა 40—50 ფუთ ხორბლის მაგივრად 80—100 ფუთს იძლეოდეს; რომ დესეტინა ვენახს 150—200 ვედრაკი არა, არამედ 500—600 ვედრა ღვინო გამოდიოდეს და სხ.

კულტურულ მეურნეს თავისი მამულის გამოსავლით ვალების გასტუმრების გარდა კიდევ ოჯახის გამოკვებაც უნდა შეეძლოს ყველა თავის პირველ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით მაინც.

ასეთ სახსარს კი მამული მარტო მაშინ მისცემს თავის პატრონს, მარტო მაშინ ექნება დიდ მამულს დიდი გამოსავალი, როცა თითონ პატრონი ჩადგება მამულში და გულმოდგინედ გააკეთებს ყველა სამუშაოს თავის დროზე.

ფაქიზად შესრულებულ სამუშაოს მეურნეობაში ისეთივე მნიშვნელობა აქვს როგორც მშვიერი თესლის მაგივრად მაძლარი თესლის დათესვას. როგორც მჩატე, უღონო თესლი ვერ მოიცემა მსხვილ ნაყოფს, ისე ბევრული, დროის შეუფერებელი მუშაობა ვერ მოგცემთ სასურველ შედეგს.

ზომიერი (და არა ზომაზე გადაჭარბებით) ვალი გონივრულად დახარჯული თვით მამულის უკეთესად შემუშავებაზე კი არ ამცირებს მეურნის შეძლებას, პირიქით აძლიერებს მას. ხოლო დღეს ერთის მხრით ამ მამულებზე უკვე წამოდებული ვალები, მეორეთი—აწინდელი გამოსავლიანობა

ჩვენი მამულებისა იძულებულ გვხვდიან დავსკვნათ შემდეგი:

ბ. გოგირდიანი შრომაში გამოქვეყნებული ცნობები უტყუარად ხდიან ჩვენი მემამულეების მოსალოდნელს, რომელთაც ცოტად თუ ბევრად დიდი მამულები აქვთ.

მომავალი იგი ასეთია: ვისაც სურს მათგანს, რომ მამული ხელიდან არ გამოეცალოს და ცარიელზე არ დარჩეს, მან უნდა ან: 1) თავის მამულებს მარტო ის ხარჯი აკმაროს, რაც ზედ უკვე

წამოდებულ ვალების თავსებად ხელ-  
გების გასტუმრებას უნდა მოსალოდნელად  
თითონ თავისი საცხოვრებელი სხვაგან  
იშოვოს, და ან 2) — თვით პატრონები  
უნდა ჩადგნენ თავიანთ მამულებში და  
თავიანთი მუყაითი შრომით გააორკე-  
ცონ მამულის შემოსავალი, რომ ვალ-  
საც გასწვდეს იგი და მოამაგე პატრო-  
ნის მოთხოვნილებასაც.

ასეთია ცხოვრების წეს-რიგი, რომ-  
ლის მიმდინარეობას მარტო გლოვით  
ვერ შევცვლით.

ე. იოსელიანი

## გოგირდის ხმარება მეღვინეობაში

(დასასრული \*)

გოგირდის ბოლს სხვანაირადაც აგროვებენ ქურქელში. დასწვავენ გოგირდს განგებ ამისათვის მომართულ ფარანში, რომლიდანაც მერე რეზინის მილებით გადააქვთ ეს ბოლი, სადაც სურთ. რადგან გოგირდის ბოლი მძიმეა ჰაერზე, ამიტომ ქურქელი ამ ბოლით ივსება და ჰაერი კი მაღლა ამოდის. ერთი წონა გოგირდიდან მისი დაწვით ჩნდება ორი წონა გოგირდის ბოლი. ისე რომ ერთი გირვანქა გოგირდი იძლევა ორ გირვანქა ბოლს. ამ სახით როცა ვიცით რამდენი გოგირდი დავწვით, შეგვიძლიან გავიგოთ ბოლი რამდენი წარმოსდგა. ღვინის ჩასხმის დროს ქურქელში რაც ბოლია სულ არ გაიხსნება ღვინოში. თუმცა ღვინო ძალიან იზიდავს ამ ბოლს, მაგრამ მაინც ნახევარზე მეტი ამოდის ქურქელიდან. ქვევრიდან კიდევ უფრო მეტი ამოვა, ვიდრე ბოჩიდან, რადგანაც ქვევრს დიდი

პირი აქვს. მაგარი ღვინო უფრო მეტ გოგირდის ბოლს მიიზიდავს. თუ ქვევრის პირზე საცერს დაუდებთ ღვინოს და ისე ჩავასხავთ, მაშინ გოგირდის ბოლი ქვევრშიაც იმდენი გაიხსნება ღვინოში, რამდენიც ბოჩაში. გოგირდის ბოლი ბოჩაში ერევა ღვინოს დაახლოებით  $\frac{1}{4}$  ნაწილი ანუ  $\frac{1}{2}$  წონა დამწვარი გოგირდისა.

ამ სახით შეგვიძლიან ვიანგარიშოთ რამდენი გოგირდის ბოლი ანუ გოგირდეული სიმყავე გაიხსნება ღვინოში და ანგარიშით იმდენი გოგირდი დავწვათ რამდენიც საჭიროა. მაგალითად გვინდა რომ ერთ ლიტრა ანუ 0,08 ვედრა ღვინოში გავხსნათ 0,07 გრამი გოგირდის ბოლი. ქვევრი ერთ ცალიანი გვაქვს (15 ჩაფიანი ანუ 22 ვედროიანი). თუ 0,08 ვედრაში გვინდა რომ 0,07 გრამი გოგირდის ბოლი იყოს, მაშ 22 ვედრაში იქნება  $19\frac{1}{4}$  გრ. 0,08 ვედრა ღვინოში 0,08 გრამია, ერთ ვედრაში იქნება  $[(0,07 : 0,08) \times 22 = 19\frac{1}{4}$  გრამი]. მაშასადამე ჩვენ უნდა დაუბო-

\*) იხილეთ „მოსახელი“ მე-10 №.



ლოთ ამ ქვერს სულ  $38\frac{1}{2}$  გრამი გოგირდი.

ეს იმიტომ რომ  $38\frac{1}{2}$  გრამი გოგირდი მოგვცემს 77 გრ. გოგირდულ სიმჟავეს და აქედან კი მხოლოდ  $\frac{1}{4}$  ანუ  $19\frac{1}{4}$  გრამი გაიხსნება ღვინოში, როგორც ზემოთა ვსთქვით. ამგვარად გოგირდის წონაზე რომ ვიანგარიშოთ, გამოდის რომ ორჯერ მეტი გოგირდი უნდა დავწვათ იმაზე, რამდენიც ბოლი გვინდა გოგირდისა გავხსნათ ღვინოში.

გოგირდულ სიმჟავის მისაღებად იხმარებიან თვით გოგირდის გარდა აგრედვე სხვადასხვა მისი ქიმიური შეერთებანი, რომელნიც ღვინოში ჩაშვების დროს წარმოადგენენ გოგირდულ სიმჟავეს. ეს უკანასკნელი იხსნება ღვინოში და ერევა მას. აქ ანგარიში უფრო მარტივია და მასთან სწორედ. ხმარობენ აგრედვე გოგირდულ სიმჟავის ხსნილს სპირტში.

თუ ვიცით რამდენი გოგირდული სიმჟავეა გახსნილი სპირტში, პირდაპირ წყვით შეგვეძლება მიუმატოთ ღვინოს გოგირდი რამდენიც საჭიროა. გოგირდის ბოლი ამონავეებს სხვადასხვა მიკრობებს ღვინის ავადმყოფობისა და აგრედვე დუდიდელს. დამონავებული ფერმენტი თავის ზედგავლენას ვეღარ იჩენს ღვინოზე და ილექება ძირს. ამიტომ ავადმყოფ ღვინოს დაუბოლებენ გოგირდს და რამდენიმე დღის უკან გადილებენ უკვე დაწმენილ ღვინოს. ავადმყოფობის ფერმენტი ილექება ძირს და ამ სახით ღვინო განთავისუფლდება ავადმყოფობისაგან.

დუდიდელს დასამონავებლადაც ასე იქცევიან როცა ტკბილი ღვინო უნდათ მოამზადონ ან და ევროპული წესით

გვინდა ღვინის დაყენება.

რამდენი ხნით შედგება დუდილი, ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენ გოგირდს გავურევთ ღვინოს. მაგალითად სამის დღით შედგება დუდილი, თუ ერთ ლიტრა ღვინოში  $0,07—0,08$  გრამ გოგირდულ სიმჟავეს გავურევთ.

თუ გვინდა ერთის თვით შევაცნოთ დუდილი, საჭიროა ერთ ლიტრა ღვინოში  $0,2—0,5$  გრ. გოგირდული სიმჟავე გავურიოთ და სხვა. ამ ზომას დიდი დამოკიდებულება აქვს იმ ადგილობრივ პირობებთან, სადაც დუდილი ხდება. თუ დუდილის პირობები კარგია, მაშინ მეტი გოგირდი უნდა, თუ ცუდია—ცოტა. 40 საათით რომ გვინდოდეს შევაცნოთ დუდილი (მაგალითად როცა საჭიროა ტკბილის გადატანა), უნდა 40 ვედ. ბოჩკაში დავწვათ 50 გრ. გოგირდი, ესე იგი ლიტრაში უნდა იყოს  $0,05$  გრ. გოგირდული სიმჟავე.

თუ უნდათ რომ იმაზე მეტი ბოლი გაურიონ ღვინოში, რამდენიც გოგირდის დაწვით ერევა ბოჩკაში, მაშინ მოიქცევიან ასე: დასწვავენ ბოჩკაში გოგირდს რამდენიც დაიწვება, ჩაუშვებენ  $\frac{1}{3}$  ღვინოს შიგ და მერე აქანჭყარებენ ბოჩკას როგორც გარეცხის დროს შვრებიან. ამ გზით რაც ბოჩკაში ბოლია იმისი თითქმის  $\frac{3}{4}$  ნაწილი გაიხსნება ღვინოში. შემდეგ, თუ საჭიროა კიდევ ჩაუბოლებენ და ასევე მოიქცევიან. გოგირდი ბლომად შეერევა ღვინოს აგრედვე მაშინ თუ ღვინოს საცერს შევუდგავთ და ისე ჩავასხავთ ჭურჭელში, სადაც გოგირდია ჩაბოლებული.

გოგირდის შერევა ღვინოში კანონით არის ხოლმე განსაზღვრული. საფრანგეთის კანონებით მაგალითად თავის-



უფალი გოგირდული ანგიდრიდი (SO<sub>2</sub>) არ უნდა აღემატებოდეს 20 მილიგრამს (0,02 გრ.) ლიტრზე სასმელად გამზადებულ ღვინოში.

თავისუფალი გოგირდული სიმჟავე ძალიან ცოტაა ხოლმე ღვინოში, რადგან გარევის უმაღვე ნაწილი მისი ვადადის გოგირდის სიმჟავით (H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>), ნაწილი კიდე ეთვისება ღვინის შემადგენელ ნივთიერებებს. ისე რომე ბოლოს თითქმის მთელი გოგირდული სიმჟავე მჟავმადის მიმატებით ვადადის გოგირდის სიმჟავით, რომელიც

ეთვისება ღვინის კირს. ეს უკანასკნელი ნივთიერება კი არ იხსნება ღვინოში და ილექება. ამ სახით შერეული გოგირდის სიმჟავე ხანგრძლივი მოქმედების შემდეგ ისევ ილექება და შორდება ღვინოს. ღვინოში კი რჩება მხოლოდ მცირედი ნაწილი.

გოგირდის ბოლს ხმარობენ ცარიელი ქურჭლის შესანახავადაც და აგრედვე სარდაფების დასაბოლოებლად, რომ ჰაერი გაასუფთავოს სხვადასხვა ბაქტერიებისაგან.

ვ. მჭედლიშვილი

# გლუხ-კოოპერატორის სსხელმძღვანელოდ

(დასასრული \*)

§ 26. საბჭო არის წარმომადგენელი საზოგადოებისა ყველა საქმეებში: მას მოჰყავს ისრულებში საზოგადოების კრებების დადგენილებანი, ხარჯამს ფულს თანახმად კრებების მიერ დამტკიცებულის გვემისა და კრების რწმუნებით და მის მიერვე დადგენილს საზღვრებში, აწარმოებს ოპერაციებს საზოგადოების მიერ სესხათ ფულის აღების შესახებ, საკომისიო საქმეების შესახებ, საზოგადოთ ყოველგვარ ქონების შექენაზე, გაყიდვაზე, დაგირავებაზე და კერძოთ მოძრავ ქონების და ფასიან ქალაღდების შექენაზე. ყველა თავის მოქმედებაზე საბჭო წარუდგენს კრებას ანგარიშს: წლიურს კრებისთვის კი, ამას გარდა, ამზადებს ვრცელს ანგარიშს საზოგადოების მოქმედების შესახებ საანგარიშო წელს, ყოველივე შემოსავალ-გასავალზე და საზოგადოების დაწესებულებების და ქონების მდგომარეობაზე, აგრეთვე უდგენს მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვას და თავის მოსაზრებას საზოგადოების მოქმედების მიმართულების შესახებ მომავალში.

§ 27. საზოგადოების საბჭო მისდამო რწმუნებულ საქმეების წარმოების და საზოგადოების

ბის კასის გამგებლობის დროს ხელმძღვანელობს კრების მიერ დამტკიცებულის ინსტრუქციით.

§ 28. საბჭოს სხდომები ხდება თავმჯდომარის მიერ დანიშნულს დღეებში (მხოლოდ არა ნაკლებ... ისა თვეში) და ითვლება კანონიერად, თუ მას თავმჯდომარით დაესწრება... წევრი.

§ 29. საქმეებს საბჭო სწყვეტს ახდლის ხმის მიცემით, უბრალო ხმის უმეტესობით. თუ, ვინიცობაა, ხმები თანასწორად გაიყო, მაშინ კითხვას თავმჯდომარის ხმა სწყვეტს (საბჭოს სხდომების ყურნალებს აწარმოებს მდივანი, თუ ეს უკანასკნელი კრებას არ დაესწრო, მაშინ თავმჯდომარის თანხმობით ყურნალის წარმოება მიენდობა საბჭოს რომელიმე წევრს, ყურნალს ხელს აწერს ყველა წევრი).

§ 30. საბჭოს თავმჯდომარე იმავე დროს არის საზოგადოების თავმჯდომარეც, იგი თვალყურს ადევნებს საბჭოს და საზოგადოების მოქმედებას, რათა იგი იქმნეს მიმართული წესდებაში დასახული მიზნისაკენ.

§ 31. თავმჯდომარე თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებზე და საზოგადოების კრებებზე. არჩევს ყველა მიღებულ წერილებს, ხელს აწერს გასავლენ ქალაღდებს და თვალყურს

\*) იხილე „მოსავლი“, № 10.

ადგენებს წესდების და კრების დადგენილებების სისწორით ასრულებას.

§ 32. თავჯდომარის ამხანაგი როდესაც თავჯდომარე არ დაესწრო, ასრულებს ყველა მის მოვალეობას (თუ თავჯდომარეს და მის ამხანაგს არ შეეძლება დაესწრნენ სხდომებს, მაშინ საბჭო იმათ ადგილას ირჩევს ერთერთს თავის წევრთაგანს).....

§ 33 მდივანი აწარმოებს საბჭოს სხდომებს და საზოგადო კრებების ეურნალებს, ადგენს საზოგადოების მოქმედების წლიურს ანგარიშს, ამზადებს საბჭოს სხდომებზე და კრებებზე გასაჩივრებ საქმეებს, განაგებს მიწერ-მოწერას და ხელს აწერს საზოგადოების გასაგზავნ ქაღალდებს. მდივანს და ხაზინადარს შეიძლება მიეკუთვნებოდეს იმდენი, რამდენსაც კრება გადასწყვეტს.

**შენიშვნა.** ყველა მიწერ-მოწერა საზოგადოების საქმეებზე და ანგარიშების წარმოება რუსეთის იმპერიის საზღვრებში უნდა სწარმოებდეს რუსულს ენაზე.

§ 34. ხაზინადარი იღებს საზოგადოებაში შემოსულს ფულებს და ხარჯავს მას თანხმად საბჭოს გეგმისა და დადგენილებისა, აგრეთვე წარმოებს კასის და საზოგადოების ქონების მწურ-გაყრილ წიგნს (თავჯდომარის, მდივანის და საბჭოს წევრების მიერ ხელმოწერილს და საზოგადოების ბეჭედ დასმულს) საბჭოს მიერ შედგენილის და საზოგადო კრებაზე დამტკიცებულის ინსტრუქციით.

§ 35. საბჭოს დანარჩენი წევრები ინაწილებენ თავიანთ შორის, ერთმანეთის თანხმობით, დანარჩენს თანამდებობებს, როგორათაც არის: ბიბლიოთეკის და საზოგადოებასთან არსებულ სხვადასხვა დაწესებულებების (თუ ასეთები არსებობენ საზოგადოებასთან), გამგებლობა და სს.

**შენიშვნა.** საზოგადოებასთან არსებულ დაწესებულებების გამგებლობის თანამდებობა შეიძლება მიენდოს საზოგადოების წევრს, რომელიც საბჭოს წევრათ არ არის, ან დაქირავებულს გარეშე პირს.

§ 36. ყოველ საპატიო და ნამდვილ წევრს შეუძლიან დაესწროს საბჭოს სხდომებს, მხოლოდ ხმა კი არ მიეცემა.

## V

## საზოგადოების კრებები


§ 37. საზოგადოების კრებები არის ჩვეულებრივი და წლიური.

**შენიშვნა 1.** საზოგადოების დაარსებისათხავე, დამაარსებელი იწვევენ პირველს კრებას, რომელიც ამორჩევს რა თავმჯდომარეს, აწესებს დაახლოებით საზოგადოების ორგანიზაციას (რაოდენობის ვადას და წესს საწევრო გადასახადისა, საბჭოს წევრთა რიცხვს, თანამდებობის პირთა სამსახურის ვადას და საბჭოდან წევრთა გამოსვლის წეს-რიგს; აგრეთვე საბჭოს წევრთა რიცხვს, რომელიც საჭიროა დადგენილების კანონიერებისთვის) და ახდენს საზოგადოების თანამდებობის პირთა არჩევნებს. ამ კრების დადგენილებანი ჩამოთვლილ კითხვების შესახებ შეიძლება გადათვლიერებული იქმნეს მხოლოდ საზოგადოების წლიურ კრებაზე. ამორჩეულ თანამდებობის პირთა შესახებ საზოგადოების საბჭო დაუყოვნებლივ აცნობებს მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს.

**შენიშვნა 2.** საზოგადოების კრების დრო, ადგილი და განსახილველი საგნები წინდაწინვე უნდა ეცნობათ წევრებს და ადგილობრივ პოლიციის უფროსს; ამასთანავე კრებაზე განსახილველად მხოლოდ ის საგნები დაეშვება, რომლებიც შეეხება წესდებით დადგენილს საზოგადოების მოქმედებას და რომლებიც ეცნობება პოლიციის უფროსს.

§ 38. ჩვეულებრივ კრებებს, რომლებიც მოიწვევა საჭიროებისამებრ (დანიშნული საბჭოს მიერ მთელი წლით წინდაწინვე არა ნაკლებ . . . ისა წელიწადში), აგრეთვე სარევიზიო კომისიის მოთხოვნით, ან არა ნაკლებ . . . საზოგადოების წევრების განცხადებით, ანდომებენ მომდინარე საქმეებს და ყველა იმ კითხვებს, რომლებიც საზოგადოების მოქმედებას შეეხებიან, აგრეთვე ნამდვილ წევრების, წევრთ-კორესპონდენტების და თანამდებობის პირთა ამორჩევას.

§ 39. კრება ითვლება კანონიერად, თუ მას საბჭოს წევრების გარდა დაესწრება არა ნაკ-



ლებ . . . ნამდვილი და საპატიო წევრი საზოგადოებისა.

§ 40. კრებებზე საქმეები, გარდა საპატიო წევრების ამორჩევისა და იმ კითხვებისა, რომლებიც ჩამოთვლილია მე-41 §-ში, სწყდება უბრალო ხმის უმეტესობა თ, თუ ხმები თანასწორად გაიყო, კითხვას სწყვეტს თავმჯდომარის ხმა. ყველა პიროვანი კითხვები, როგორც თანამდებობის პირთა და საზოგადოების წევრთა ამორჩევა, საზოგადოებიდან წევრის გამორიცხვა და სხვ., აგრედვე შემდეგი კითხვები (სახელდობრ რომლები?) სწყდება კრებებზე დახურულის კენჭის ყრით (დანარჩენი კითხვები სწყდება ფარულის ხმის მიცემით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს კრებაზე დამსწრე წევრთა . . . ნაწილი).

§ 41. იმ კითხვების გადასაწყვეტად, რომლებიც შეეხება: 1) წესდების შევლას, 2) საზოგადოების დაწესებულების განსახსნა და დახურვას, 3) სესხის აღებას და უძრავ ქონების შეძენა-გაყიდვას, 4) საზოგადოების დახურვას, 5) საპატიო თავმჯდომარის და 6) საპატიო წევრთა ამორჩევას, საჭიროა წინდაწინვე (კრებამდე ამდენი და ამდენი ხნის წინ) ეცნობოს წევრებს. ასეთ კითხვების გადაწყვეტის დროს კრებას უნდა დაესწროს არა ნაკლებ . . . საპატიო და ნამდვილი წევრი, თვით კითხვები კი სწყდება დამსწრე წევრთა 2/3 ხმის უმეტესობით. კრების მიერ მიღებული პროექტი წესდების შეცვლის შესახებ უნდა წარედგინოს გუბერნატორის საშუალებით სამიწადმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს.

§ 42. წლიური კრება, რომელიც მოიწვევა (ამა-და-ამ თვეს) და რომელზედაც იკითხება საზოგადოების წარსული წლის მოქმედების ანგარიში (სარევიზიო კომისიის შეხედულობით და საბჭოს განმარტებით), იხილავს (ამტკიცებს) საბჭოს მიერ შედგენილს მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვას და ირჩევს თანამდებობის პირთ (მათ კანდიდატებს და აგრედვე საპატიო თავმჯდომარეს) და საპატიო წევრებს. ამას გარდა წლიურს კრებაზე შეიძლება გადასწყდეს სხვა საქმეებიც, მხოლოდ ამ წესდებაში დადგენილი მოთხოვნილებების დაცვით-კი.

§ 43. ამავე კრებაზე ირჩევა სარევიზიო კომისია, შემდგარი . . . ისეთ წევრთაგან, რომელთაც სხვა არავითარი თანამდებობა არა ექვთ საზოგადოებაში (რომელიც არც საბჭოს წევრების კანდიდატებად არიან ამორჩეულნი), წლიურ ანგარიშის (საბჭოს მოქმედების), საზოგადოების კასის და ქონების (აგრედვე საზოგადოებასთან არსებულ დაწესებულებების) სარევიზიო. სარევიზიო კომისიის დასკვნა საბჭოს განმარტებით უნდა მოხსენდეს ან მახლობელ საზოგადო კრებას ან შემდეგს წლიურს კრებას.

§ 44. თუ კრებაზე აღიძვრება ისეთი კითხვები, რომლების გადასაწყვეტად საჭიროა მათი დაწვრილებით შესწავლა, ასეთ შემთხვევაში ირჩევენ განსაკუთრებულ დროებით რამდენიმე პირთაგან შემდგარს კომისიას.

§ 45. საჯარო კრებები იმართება საბჭოს დადგენილებით; გარეშე პირების დაშვება სჯაბაასში მონაწილეობის მისაღებათ, მხოლოდ ხმის უფლებით კი არა, დამოკიდებულია თავმჯდომარის სურვილზე.

VI

საზოგადოების საშუალებანი და პასუხისმგებლობა

§ 46. საზოგადოების საშუალებანი, რომლებიც შესდგება საწევრო გადასახადისა და საზოგადო დაწესებულებების დახმარებისაგან და შეწირულებისაგან, აგრედვე საზოგადოების მიერ გამართულ საწყობებიდან, მწიფე მოფენიდან და სხვა გზით, აღებულ შემოსავლებიდან, ხმარდება საზოგადოების მიმდინარე ხარჯებს და ამ წესდებაში დასახულ მიზნის განხორციელებას. ერთ-დროულად (წევრის სიკვდილამდე) შეტანილ საწევრო გადასახადით არსდება ხელშეუხებელი ან სათადარიგო თანხა, რომლის სარგებლობასაც აწესებს თვით საზოგადოება.

§ 47. თუ არსებობს საზოგადოების პასუხისმგებლობა მის მიერ გაცემულ ვალდებულების ძალით მთელის მის ქონებით, ეს ვალდებულება მაინც არა ვრცელდება იმ თანხებზე, რომლებიც მიღებული აქვს საზოგადოებას გარეშე პირებისა და დაწესებულებებისა-



გან რაიმე განსაკუთრებული დანიშნულებისათვის; აგრედვე ეს პასუხისმგებლობა არა ვრცელდება წევრების პირად ქონებაზე.

### VII

#### საზოგადოების დახურვა

§ 48. იმ შემთხვევაში, თუ გადასწყდა საზოგადოების დახურვა, უკანასკნელი კრება აღგენს იმას, თუ რა დანიშნულებას მოხმარდეს ყველა ვალეების გასტუმრების შემდეგ დარჩენილი საზოგადოების ქონება. ეს დადგენილება მოიყვანება სისრულეში მხოლოდ მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნებართვით.

§ 49. საზოგადოების დახურვის შესახებ საბჭო აცნობებს გუბერნატორს და მიწადმოქმედების დეპარტამენტს და აცხადებს უწყებებში.

§ 50. იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოება ფაქტიურად შესწყვეტს მოქმედებას, გუბერნატორი ამის შესახებ აცნობებს მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს.

1. თუ, დამოუკიდებლად გუბერნატორის მინიჭებულ საზოგადო კრების დახურვით დასრულებისა *ст. 321 Свод. Зак., т. II, ч. Vyp. Губ.*, გუბერნატორმა საჭიროთა თვით საზოგადოების დახურვა, როგორც გამოიჩინეს რაიმე სახელმწიფოებრივ მოთხოვნების საზოგადო მყუდროების და სახელმწიფოების წინააღმდეგობას, გუბერნატორი ამის შესახებ წარუდგენს მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს თავის შეხედულებას.

§ 52. ისეთ შემთხვევაში, რომელიც ამ წესდებაში არ არის მოხსენებული, საზოგადოება უნდა ხელმძღვანელობდეს მის სამოქმედო საგნების შესახებ გამოცემული წესებით, საზოგადო კანონებით და მთავრობის განკარგულებებით, უკვე არსებული და აგრედვე იმ კანონებით, რომლებიც შემდეგში იქნება გამოცემული.

წესები ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ურნეო საზოგადოების სანიმუშო წესდებით დაწესების შესახებ:

უმაღლესად დამტკიცებულის 13 თებერვალს 1898 წ., მინისტრთა კომიტეტის განაჩენით ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შესახებ დადგენილია:

I. მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, დამტკიცებს რა ამ საქმის შესახებ მოსახსენებელ წერილში მოყვანილს საფუძველზე შემუშავებულს პროექტს სანიმუშო წესდებისას ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათათვის, უფლება აქვს, განმარტოს, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით, ის ადგილები, სადაც შეიძლება შემოღებულ იქნეს ასეთი საზოგადოებების დაარსების წესი ამ წესდების საფუძველზე. აგრედვე უფლება აქვს, იმავე მინისტრთან შეთანხმებით გაავრცელოს სანიმუშო წესდება სხვა წესდებით მოქმედ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებზე, თუ ეს უკანასკნელი მოისურვებენ.

II. სანიმუშო წესდებით დაარსებულს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს შეუძლიანთ დაისახონ მიზნად დახმარება: როგორც საზოგადო სასოფლო-მეურნეობაში, აგრედვე მის ცალკე დარგებში, სათანადო შეცვლით ამ უკანასკნელს შემთხვევაში წესდების იმ ნაწილისა, სადაც მოხსენებულია საზოგადოების მიზანი და მისი განსახორციელებელი საშუალებანი.

III. იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ დაარსონ სანიმუშო წესდებით სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, ამის შესახებ წერილობით უცხადებენ გუბერნატორს, რომელიც აძლევს ნებართვას საზოგადოების გახსნისას იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების მოქმედება ვრცელდება ერთ ან რამდენიმე მაზრაზე, ან მათ ნაწილებზე და, და ბოლოს, მთელს გუბერნიაზე. იმ შემთხვევაში კი, თუ საზოგადოების სამოქმედო რაიონი ჩამოთვლილ სივრცეს აღემატება, აგრედვე, თუ საზოგადოების დამაარსებელნი მოისურვებენ წესდებაში რომელიმე მუხლის ჩამა-

ტებას, რომელიც არ არის სანიმუშო წესდებ-  
აში, ან შესცვლიან ამ უკანასკნელის რომე-  
ლიმე მუხ -ს, მაშინ საკითხს საზოგადოების  
გახსნის შესახებ გუბერნატორი დამაარსებელთა  
მიერ განმარტებულ მიზეზებთან ერთად უდგენს  
მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა  
მინისტრს.

IV. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას  
გუბერნატორის ნებართვით შეუძლიან დაარ-  
ხდეს სამოქმედო საგნების შესახებ სპეციალური

კომიტეტები და გახსნას თავის რაიონში ადგი-  
ლობრივი განყოფილებები. სპეციალური კომ-  
იტეტები და ადგილობრივი განყოფილებები  
მოქმედებენ სანიმუშო წესდების ფარგალში.  
საზოგადოებას უფლება აქვს დახუროს განყო-  
ფილებები და კომიტეტები, მხოლოდ როგორც  
დახურვის ისე გახსნის დრო, უნდა აცნობას  
გუბერნატორს და სახელმწიფო ქონებათა სა-  
მინისტროს.

ს. კახელიძე

## საყურადღებო ცნობები

**ინდოურის ჭუკების მოვლა.**—ჩვენში ინ-  
დოური სჩეკს ჭუკებს იშვიათად აპრილში,  
უფრო ხშირად მაისში და ივნისში. გამოიჩი-  
კებიან თუ არა ჭუკები, იგინი უნდა იყოლიოთ  
თბილათ და მხოლოდ მესამე დღეს შეაძლიოთ  
საქმელი. კარგია პირველად, ორ-სამ დღეს  
მაინც, მაგრამ მოხარშული, წმინდად დაკეპი-  
ლი უნდა იყოს; შემდეგ კვერცხში უნდა  
წმინდად დაჭრილი ფურ-  
ცის აკამოთ. კვერცხის ჭმე-  
რის თავს, მის მაგიერ ორი  
საალა უნდა აურიოთ წმინ-  
დად დაჭრილ ფურცლის ფოთოლს, დაასხათ  
წყალი და მოლოთ მოხილოთ. ამ რივად  
მომზადებულ საქმელს დიდის სიამოვნებით  
შეიქცევიან ჭუკები და ძლიერ კარგადაც იზრ-  
დებიან. კარგია აგრედვე კვერცხის ნაჭუჭი და-  
ფქვას და მოეყაროს საქმელს. კვერცხის ნა-  
ჭუჭი ძლიერ უწყობს ხელს მოხარდ ფრინვე-  
ლების დაფრთიანებს და ძვლების გაშვარებას.  
შემდეგ დაფქულ სიმინდის მაგივრად უნდა ვიხ-  
მაროთ დაღერლილი სიმინდი, ხოლო ფოთო-  
ლი უნდა ემატებოდეს; ბოლოს სიმინდის მაგივ-  
რად პურის ანაცერიც იხმარება. ჩვენში უფრო  
ხშირად მოხარშულ დაკეპილ მხალით ზრდიან

ინდოურის ჭუკებს, მაგრამ მე რომ გამოვცადე  
დაჭრილი ფურცლის ფოთალი, დავრწმუნდი  
რომ იგი არა ნაკლებ კვებავს მათ. მხალის  
მოხარშვა მოკვება უფრო რთული საქმეა და  
მეტ დროს ინდომებს. ფურცლის ფოთლის  
დაჭრა და ფქვილში არევა-მოხელა კი უფრო  
საადვილოა. ისიც საყურადღებოა, რომ ინდო-  
ურის ჭუკებს ძლიერა სწყინთ თუთა და თუ  
ფურცლის ფოთლით გაიზრდებიან, მაშინ არა  
თუ არ სწყინთ, კიდევაც სუქდებიან, თუ თუთას  
მწიფეს ვაჭმევთ.

**ინდოურის გასუქება.**—ინდოური ათ დღე-  
ში სამაგალითოდ გასუქდება, თუ შემდეგ ს.  
კვებავს ვაჭმევთ: დაღერლილი სიმინდის ხორბა-  
ლი უნდა მოხილოთ წყალში, გააკეთოთ მის-  
გან სირსვლეები იმ ზომისა რომ თავისუფ-  
ლად გადაყლაპოს ინდოურმა. რძეში რომ ამო-  
ავლოთ და ძალად ჩააყლაპოთ ეს სირსვლე-  
ები დღეში სამჯერ, 10—15 დღეში ინდოური  
ძლიერ მალეც გასუქდება და სამაგალითოდ გემ-  
რიელი ჩველი ხორციც ექნება.  
ინდოური უნდა დაბმული სუქდებოდეს.

დ. მდივანი

### მოსავლის რედაქციის მიერ გამოცემული ჟურნალის წიგნები:

- გ. ი. რცხილაძე კრებული არითმეტიკული ამოცანებისა (შეორე ნაწილი) 50 კ.
- იმიისივე (თარგმანი) ქიმიის პრ. როსკოის (შეორე გამოცემა) . . . . . 30 კ.
- იმიისივე საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდან და შვეიცარიის  
ძირითადი კანონები ფასი. . . . . 25 კ.
- იმიისივე „ბამბის თესლის მოყვანა“ (თარგმანი) . . . . . 5 კ.

რედაქ.-გამომცემელი გ. ი. რცხილაძე